

**ჩინეთ-საქართველოს
ურთიერთობები საქართველოს
დასავლური გზის კვალდაკვალ:
მზარდი, თუმცა შეზღუდული
პარტნიორობა?**

**ჩინეთ-საქართველოს
ურთიერთობები საქართველოს
დასავლური გზის კვალდაკვალ:
მზარდი, თუმცა შეზღუდული
პარტნიორობა?**

ავტორი: ირაკლი სირბილაძე

*რეცენზენტები: ეკატერინე ქარდავა,
გიორგი ხიშტოვანი*

კვლევითი ასისტენტი: გიორგი წულაია

სარჩევი

| | |
|---|----|
| შემაჯამებელი მიმოხილვა | 2 |
| შესავალი | 3 |
| ჩინეთი და ევროკავშირი: პარტნიორები თუ კონკურენტები? | 5 |
| საქართველოს საგარეო პოლიტიკა: დემოკრატიული დასავლეთი როგორც დანიშნულება | 8 |
| ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები: მზარდი თუმცა შეზღუდული პარტნიორობა? | 11 |
| მზარდი საქართველო-ჩინეთის პარტნიორობის შემაფერხებელი ფაქტორები: დისკუსია | 14 |
| დასკვნა | 21 |

შემაჯავებელი მიზნით

საერთაშორისო ურთიერთობებში ჩინეთის გაზრდილმა როლმა წამყვან დასავლურ ქვეყნებთან და ინსტიტუტებთან სტრატეგიულ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონკურენციას დაუდო საფუძველი. ჩინეთი საკუთარ თავს წარმოაჩენს როგორც წამყვან განვითარებად ქვეყანას; წარადგენს განვითარების მისეულ მოდელს და მიზნად მრავალპოლუსიანი საერთაშორისო წესრიგის დამყარებას ისახავს.

ჩინეთის აღმავალი ეკონომიკური ძალაუფლება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის ევროპაში, მზარდ ეკონომიკურ და პოლიტიკური აქტივობებში გამოიხატა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთისა და ევროკავშირის გაცხადებული სურვილი სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებაა, განსხვავებები შესამჩნევია, განსაკუთრებით ეკონომიკურ და ნორმატიულ სფეროებში. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ღირებულად მიიჩნევენ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და სამართლის უზენაესობას, ჩინეთი კი ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ მართული ავტორიტარული სახელმწიფოა.

ჩინეთის ჩართულობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, ისევე როგორც დასავლეთ ბალკანეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან, აქტუალურს ხდის ეკონომიკისა და ღირებულებით სფეროებში ჩინეთსა და ევროკავშირს შორის არსებულ კონკურენციის საკითხს. ბოლო დროს, საქართველოს – აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყანა, რომელსაც ევროკავშირთან ახლო პარტნიორობა აკავშირებს – ეკონომიკაში ჩინეთის როლი გაიზარდა. ეს იწვევს ინტერესს საქართველო-ჩინეთის პარტნიორობის ხასიათისა და მისი მომავლის, ისევე როგორც ეკონომიკური დამოკიდებულების პოლიტიკურ დამოკიდებულებად შესაძლო გადაქცევის მიმართ.

საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობები აქამდე ძირითადად ეკონომიკურ სფერომდეა შეზღუდული და დაცლილია ძირეული პოლიტიკური ასპექტისგან. უფრო ღრმა პოლიტიკური კავშირების არარსებობის საფუძველი ჩინეთის მიერ რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობების საქართველოს წინაშე მდგარი საგარეო და უსაფრთხოების გამონვევებზე მაღლა დაყენებაა. საქართველოს ისტორიული იდენტიფიცირება დემოკრატიულ ევროპასთან და დასავლეთთან ისევე როგორც დემოკრატიზაციის გაცხადებული ამბიცია ავტორიტარულ ჩინეთთან პოლიტიკურ ინტერაქციას დამატებით აფერხებს. გეოპოლიტიკური ფაქტორები ასევე ზღუდავენ ჩინეთის შესაძლებლობას საქართველოსთან ყოვლისმომცველი და სტრატეგიული პარტნიორობა დაამყაროს.

ჩინეთი, თავის მხრივ, საქართველოს ინსტრუმენტალურად აღიქვამს – როგორც ჩინეთის ევროპასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან დაკავშირების გეოპოლიტიკური ამბიციის განხორციელების საშუალებად. საქართველოს პრიორიტეტი ჩინეთთან ურთიერთობების ეკონომიკურ სფერომდე შეზღუდვაა. ჩინეთის გეოპოლიტიკურ პოზიციონირებაში საქართველოს შემდგომი როლი ჩინეთის სარტყლისა და გზის ინიციატივის წარმატებაზე დამოკიდებული. თუმცა, ინიციატივის მომავლის მიუხედავად, ჩინეთ-საქართველოს გაფართოებულ პარტნიორობას ხელს ჩინეთის საკუთარი პოლიტიკები და მიდგომები უშლის.

გასული სამი ათწლეულის მანძილზე, საერთაშორისო პოლიტიკა შეიცვალა. დიდი ძალების პოლიტიკა, რომელმაც, როგორც მიიჩნეოდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად უკანა ფონზე გადაინაცვლა, კვლავ აქტუალური გახდა, რამდენადაც ჩინეთმა და რუსეთმა დასავლური საერთაშორისო წესრიგის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება დაიწყეს. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ხშირად განხილული დიდი ძალების დაპირისპირება უკვე საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ფაქტი გახდა.

ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ ჩინეთი გლობალურ დონეზე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი მოთამაშეა და ამერიკის ჰეგემონიის მეტოქედ მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი არსებულ გლობალურ ეკონომიკურ ინსტიტუტებში მონაწილეობს, მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ინსტიტუტებსა და სტრატეგიულ პროექტებს როგორებიცაა სარტყლისა და გზის ინიციატივა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი.¹

ჩინეთმა, სიდიდით მეორე ეკონომიკამ, უკვე მოილაპარაკა ან მოლაპარაკებებს აწარმოებს თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებებზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან და აზიის სახელმწიფოებთან. გლობალური სამხედრო დანახარჯებით ჩინეთი ჩამორჩება მხოლოდ ამერიკას², ხოლო მისი გავლენა ტექნოლოგიის სფეროში მზარდია.³

ჩინეთის აღმასვლამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან გარდაუვალი კონკურენცია გამოიწვია. ამ მხრივ საგულისხმოა ჩინეთის თანამშრომლობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ჩინეთის ძალისხმევა გაზარდოს კავშირები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს შეისწავლოს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები. საქართველოსა და ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები განსაკუთრებული შესწავლის საგანი გახდა⁴, თუმცა შეიმჩნევა კვლევის ნაკ-

¹ Frazier, M. (2018). China on the Global State: Introduction. The Sage Handbook of Contemporary China. p.444

² Stockholm International Peace Research Institute. (2020). SIPRI Factsheet April 2020. ხელმისაწვდომია: https://www.sipri.org/sites/default/files/2020-04/fs_2020_04_milex_0_0.pdf,

³ Schneider-Petsinger, M et al. (2019). US-China Strategic Competition: The Quest for Global Technological Leadership. ხელმისაწვდომია: <https://www.chathamhouse.org/publication/us-china-strategic-competition-quest-global-technological-leadership>

⁴ იხილეთ: Khishtovani, G, et al. (2019). The Belt and Road Initiative in the South Caucasus Region. Emerging Markets Forum, pp.33-51, ხელმისაწვდომია: https://pmcresearch.org/policypapers_file/09675c8b70d3843da.pdf; Zabakhidze, M, et al. (2019). Connectivity, Trade and Financial Integration of the South Caucasus Via the Belt and Road Initiative (BRI). Caucasus Analytical Digest, No.111, pp.3-9, ხელმისაწვდომია: https://pmcresearch.org/policypapers_file/6a7b5dd7a8a1a994b.pdf; Zabakhidze, M and Beradze, R. (2017). Georgia as a Transit Hub and its Increasing Potential in the Implementation of the Belt and Road Initiative. PMC Research Center. ხელმისაწვდომია: http://www.research.pmcg-i.com/policypapers_file/9b745c8b710912f64.pdf; Charaia, V and Papava, V. (2017). Belt and Road Initiative: Implications for Georgia and China-Georgia Economic Relations. China International Studies, 67, pp.122

ლებობა⁵ იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ხედავენ ჩინეთი და საქართველო ორმხრივ ურთიერთობებს და რა შესაძლო ფაქტორები აფერხებს სიღრმისეულ პარტნიორობას. საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც საქართველო ცდილობს კონკრეტულად ევროკავშირთან და ზოგადად დასავლურ ინსტიტუტებთან და სახელმწიფოებთან ახლო ურთიერთობების დამყარებას, ჩინეთის მიერ შემოთავაზებული მოდელი კი დასავლური ლიბერალური წესრიგის საპირისპიროა.

პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურა შემდეგნაირია. პირველი ნაწილში დოკუმენტი მიმოიხილავს ევროკავშირისა და ჩინეთის ურთიერთობებს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროკავშირთან მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები გააჩნია. მეორე ნაწილი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მუდმივ ფაქტორებს და ერის მშენებლობის ძალისხმევებს განიხილავს. მესამე ნაწილი საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებში არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავს. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში კი გაანალიზებულია ის ხელისშემშლელი ფაქტორები რაც სიღრმისეულ ჩინურ-ქართულ ურთიერთობებს აფერხებს.

⁵ გამონაკლისია ჯოზეფ ლარსენის მიერ ჩინურ-ქართული ურთიერთობების განხილვა, ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/georgia-china-relations-geopolitics-belt-road/>

ჩინეთი და ევროკავშირი: პარტნიორები თუ კონკურენტები?

ჩინეთი და ევროკავშირი განვითარების სხვადასხვა მოდელსა და ქვეყნის სტანდარტს სთავაზობენ. ევროკავშირის გლობალური აქტორობის საფუძველი დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის ერთგულებაა. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია აღნიშნავს, რომ ევროკავშირი „ერთგულია საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული გლობალურ წესრიგის, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს, მდგრად განვითარებას და გლობალურ საერთო სიკეთეებზე განგრძობად წვდომას“.⁶

მეორეს მხრივ, კომუნისტური პარტიის მიერ მართული ჩინეთი თავს განვითარებად ქვეყანად წარმოაჩენს, რომელსაც განვითარების უნიკალური მოდელი გააჩნია. ქვეყნის შიგნით სოციალიზმის ჩინური მახასიათებლებით შენების პარალელურად, საერთაშორისო დონეზე ჩინეთი მიზნად „კაცობრიობის საერთო მომავლის საზოგადოების შექმნას“ ისახავს.⁷ ჩინეთი მხარს უჭერს მრავალპოლუსიან საერთაშორისო წესრიგს რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას ვიდრე კონფლიქტს, ხოლო გაცხადებულად ეწინააღმდეგება „ძალაუფლების პოლიტიკას, ჰეგემონიას და სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევას“.⁸ ეკონომიკურად, ჩინეთი თავისუფალი ვაჭრობის ერთგულია, უარყოფს პროტექციონიზმს და ხელს უწყობს ეკონომიკურ გლობალიზაციას.⁹ 2012 წელს ჩინეთმა საუკუნის ორი მიზანი გამოაქვეყნა: 2021 წლისთვის შექმნას „ყველა თვალსაზრისით ზომიერად აყვავებული საზოგადოება“ და 2049 წლისთვის განავითაროს „თანამედროვე სოციალისტური ქვეყანა, რომელიც არის აყვავებული, ძლიერი, დემოკრატიული, კულტურულად განვითარებული და ჰარმონიული“.¹⁰

ჩინეთი და ევროკავშირი ორმხრივ ურთიერთობებს ყოველისმომცველ სტრატეგიულ პარტნიორობად ახასიათებენ. ევროკავშირმა შეიმუშავა რამდენიმე სტრატეგიული დოკუმენტი, სადაც ჩინეთისადმი ევროკავშირის მიდგომას აღწერს, ხოლო, თავის მხრივ, ჩინეთი იღებს ევროკავშირის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტს – 2018 წელს მიღებულია ყველაზე ახალი ვერსია, რომელიც ორგანიზაციასთან ქვეყნის ურთიერთობების ხედვას წარადგენს. ჩარჩო რომელიც დღევანდელ ორმხრივი ურთიერთობებს განსაზღვრავს არის „ევროკავშირ-ჩინეთის თანამშრომლობის სტრატეგიული დღის წესრიგი 2020“, რომელიც ოთხ ძირითად სფეროს

⁶ European Commission. (2016). A Global Strategy for the European Union's Foreign and Security Policy. ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eugs_review_web_0.pdf

⁷ Xinhuanet.com. (2018). Backgrounder: Xi Jinping Thought on Socialism with Chinese Characteristics for a New Era. ხელმისაწვდომია: http://www.xinhuanet.com/english/2018-03/17/c_137046261.htm

⁸ State Council Information Office of the Republic of China. (2019). China and the World in the New Era. White paper. ხელმისაწვდომია: http://english.scio.gov.cn/node_8014488.html

⁹ იგივე

¹⁰ New China. (2017). CPC Q&A: What are China's two centennial goals and why do they matter? ხელმისაწვდომია: http://www.xinhuanet.com/english/2017-10/17/c_136686770.htm

ეყრდნობა: მშვიდობა და უსაფრთხოება, კეთილდღეობა, მდგრადი განვითარება და ხალხთაშორისო ურთიერთობები.¹¹

თანამშრომლობის გაცხადებული მიზნების მიუხედავად, რეჟიმების ხასიათიდან გამომდინარე ურთიერთობებში პრაქტიკული გამოწვევები არსებობს. ევროკავშირი ეფუძნება დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრისა და ადამიანის უფლებების ერთგულებას, ხოლო ჩინეთის ავტორიტარული რეჟიმი საპირისპიროა იმ პოლიტიკური საზოგადოების იდეის რასაც ევროკავშირი წარმოადგენს. შესაბამისად, ევროკავშირისა და ჩინეთის ურთიერთობების გასაგებად სამი საკითხი არის მნიშვნელოვანი: 1) საერთაშორისო ურთიერთობები; 2) ეკონომიკა და 3) დემოკრატია.

საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, ევროკავშირი და ჩინეთი მრავალმხრივობისა და გაეროზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის იდეისადმი ერთგულებას იზიარებენ. ჩინეთი მხარს უჭერს ევროპული ინტეგრაციის პროცესს, ხოლო ევროკავშირი ჩინეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ორივე აქტორი გამოხატავს საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებსა და გლობალურ მმართველობაში მონაწილეობის შესახებ რეგულარული დიალოგის წარმოების მზადყოფნას.

ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირ-ჩინეთის ურთიერთობების ქვაკუთხედია. ორივე აქტორი ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულია: ჩინეთი, ამერიკის შემდეგ, ევროკავშირის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია, ხოლო ევროკავშირი ჩინეთის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია; ეკონომიკური ურთიერთობების უფრო განსავითარებლად, მხარეები ამჟამად აწარმოებენ მოლაპარაკებებს ინვესტიციის შესახებ ჩინეთ-ევროკავშირის ყოვლისმომცველი შეთანხმებაზე.¹² ამის მიუხედავად, ევროკავშირი ასახელებს პირობებს, რომლებიც ჩინეთმა უნდა დააკმაყოფილოს: კონკრეტულად, სამართლიანი ვაჭრობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.¹³

საკითხები სადაც განსხვავებები ყველაზე შესამჩნევია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებს ეხება. ევროკავშირის ჩინეთის შესახებ სტრატეგია (2016) და ევროკავშირი-ჩინეთი: სტრატეგიული მიმოხილვა (2019) ხაზს უსვამენ ევროკავშირისა და ჩინეთის ორმხრივ ურთიერთობებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელობას. სტრატეგიული მიმოხილვა აღნიშნავს, რომ „ევროკავშირისა და ჩინეთის უნარი ეფექტურად შეძლონ ადამიანის უფლებების საკითხზე ჩართულობა ორმხრივი ურთიერთობების ხარისხის მნიშვნელოვანი საზომი იქნება“.¹⁴ ევროკავშირის შესახებ ჩინეთის პოლიტიკის დოკუმენტის 2014 წლის ვერსიაში ჩინეთი აღიარებს, რომ „ორ მხარეს განსხვავებები და უთანხმოე-

¹¹ European Commission. (2013). EU-China 2020 Strategic Agenda for Cooperation. ხელმისაწვდომია: http://eeas.europa.eu/archives/docs/china/docs/eu-china_2020_strategic_agenda_en.pdf

¹² European Commission. (2020). China. ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/china/>

¹³ იგივე

¹⁴ European Commission. (2019). EU-China – A Strategic Outlook. ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/communication-eu-china-a-strategic-outlook.pdf>

ბები გააჩნიათ ღირებულებით საკითხებზე როგორც არის ადამიანის უფლებები, ისევე როგორც ეკონომიკურ და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე”.¹⁵ დოკუმენტის 2018 წლის ვერსიაში ჩინეთი ევროკავშირის მოუწოდებს „ობიექტურად და სამართლიანად შეაფასოს ჩინეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობა და თავი შეიკავოს ადამიანის უფლებების სახელით ჩინეთის შიდა საქმეებსა და სასამართლო სუვერენიტეტში ჩარევისგან”.¹⁶

გასული წლების მანძილზე, ჩინეთი ევროკავშირის კონკურენტად აღიქმება. კონკურენცია ყველაზე ცხადად გამოხატულია ეკონომიკურ და ღირებულებით ასპექტებში. ევროკავშირისთვის ჩინეთის არის „ეკონომიკური კონკურენტი, რომელიც ტექნოლოგიურ ლიდერობას ესწრაფვის და სისტემური მეტოქე, რომელიც მმართველობის ალტერნატიულ მოდელს ავრცელებს”.¹⁷ კონკურენციის ასეთი მაგალითია ჩინეთისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის („17+1“) პლატფორმა, რომელიც როგორც ევროკავშირის წევრ ისე კანდიდატ სახელმწიფოებს აერთიანებს.¹⁸ სწორედ ამიტომ, ჩინეთის შესახებ ევროკავშირის სტრატეგიული დოკუმენტები (2016;2019) თანმიმდევრულად უსვამენ ხაზს „წესებზე დაფუძნებული მმართველობისა და რეგიონული უსაფრთხოების“ გასაძლიერებლად და „ევროკავშირის კანონებთან, წესებთან და პოლიტიკებთან თავსებადობის“ შესანარჩუნებლად ჩინეთის ჩართულობას.

თუ როგორ განვითარდება ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობები გავლენას მოახდენს არამხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე, არამედ მის სამეზობლოზე დასავლეთ ბალკანეთსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ჩინეთის მზარდმა გავლენამ შესაძლოა შეასუსტოს ევროკავშირის შესაძლებლობა გაავრცელოს მმართველობის საკუთარი მოდელი, რომელიც ეფუძნება დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, მშვიდობისა და განვითარების ღირებულებებს.

¹⁵ MFA of the People's Republic of China. (2014). China's Policy Paper on the EU. ხელმისაწვდომია: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjdt_665385/wjzcs/t1143406.shtml

¹⁶ MFA of the People's Republic of China. (2018). China's Policy Paper on the EU. ხელმისაწვდომია: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjdt_665385/2649_665393/t1622890.shtml

¹⁷ European Commission. (2019). EU-China – A Strategic Outlook. ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/communication-eu-china-a-strategic-outlook.pdf>

¹⁸ თუმცა, შესაძლებელია, რომ გეოგრაფიულად ახლოს მყოფი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები (მოლდოვა, ბელარუსი და უკრაინა) აღნიშნულ ფორმატში არ მონაწილეობენ

საქართველოს საგარეო პოლიტიკა: დემოკრატიული დასავლეთი რიგებს დანიშნულება

ათწლეულების მანძილზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკამ გამოხატულად პრო-დასავლური მახასიათებელი შეიძინა. საქართველოს დასავლეთისკენ სვლა განპირობებულია როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით. შიდა დონეზე, საქართველო და მისი პოლიტიკური ელიტები საკუთარ თავს ევროპულ ცივილიზაციას აკუთვნებენ, ხოლო იდეური ფაქტორები გავლენას ახდენენ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ქცევაზე.¹⁹ მატერიალურმა ფაქტორებმა, როგორც არის რუსეთს მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ასევე განაპირობა საქართველოს პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკის ფორმირება.

საერთაშორისო სისტემურმა ფაქტორებმა ასევე ითამაშეს როლი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოს მასშტაბით ამერიკისა და დასავლური ინსტიტუტების წვდომის არეალი გაიზარდა. ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა დასავლურ სტრუქტურებში განევრინა, ხოლო სხვებმა, განსაკუთრებით საქართველომ და უკრაინამ, ამ მიზნისკენ სწრაფვა დაიწყეს, რითიც რეგიონისთვის რუსეთს დაუპირისპირდნენ.

1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველომ დემოკრატიისა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ უფრო მზარდად აიღო გეზი. ეს გზა პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა როგორც ფურცელზე ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. დოკუმენტურად, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები (2005;2011) – ისევე როგორც შემდგომი სტრატეგიული დოკუმენტები – ხაზს უსვამენ დასავლურ სამყაროსთან საქართველოს შეუქცევად მიკუთვნებას; ნატოსა და ევროკავშირში წევრობას საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანად სახავენ და დემოკრატიზაციას საქართველოს პირველად ეროვნულ ღირებულებად და ინტერესად აცხადებენ.²⁰

პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველო დასავლურ ინსტიტუტებს უფრო მეტად დაუხლოვდა. 2004 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკას; 2008 წელს საქართველომ ნატოში განევრინების პირობა მიიღო და ჩამოყალიბდა ნატო-საქართველოს კომისია; 2009 წელს, საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ნაწილი გახდა, ხოლო რუსეთ-საქართველოს ომის საპასუხოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) დატოვა; 2011 წელს საქართველომ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმებას მიაღწია, ხოლო 2014 წელს ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებას; 2014 წელს საქართველომ ნატოს არსებითი პაკეტი მიიღო, ხოლო 2017 წლიდან შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით სარგებლობს.

¹⁹ Kakachia, K and Minesashvili, S. (2015). Identity politics: Exploring Georgian foreign policy behavior. *Journal of Eurasian Studies*, 6, p.175

²⁰ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2005;2011.

დასავლურ ინსტიტუტებთან მსგავსი ხარისხით თანამშრომლობა მიუთითებს, რომ საქართველო დემოკრატიზაციის მხრივ პროგრეს განიცდის. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველომ ფუნქციონირებადი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო და წარმატებით აღმოფხვრა კორუფცია²¹, თუმცა გამოწვევები ადამიანის უფლებებისა და ხელისუფლების დაბალანსებისა და შებოჭვის მხრივ კვლავ არსებობდა. 2012 წელს ხელისუფლება არჩევნების გზით პირველად შეიცვალა, რამაც დემოკრატიული განვითარება შემდეგ ეტაპზე გადაიყვანა. საქართველომ მმართველობის საპარლამენტო სისტემაზე გადაინაცვლა, რამაც ხელისუფლების ქმედებებზე საპარლამენტო ზედამხედველობის ხარისხი გაზარდა. ამის მიუხედავად, ხელისუფლების დაბალანსებისა და შებოჭვის პრობლემები კვლავ რჩება, რაც უმეტესწილად 2016 წლის არჩევნების შემდეგ ერთი პარტიის მიერ სრული უმრავლესობის ფლობამ განაპირობა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოვებასთან ერთად, არსებული შერეული საარჩევნო სისტემის მიმართ უკმაყოფილება იზრდებოდა, რის შედეგადაც მმართველი პარტია 2020 წლის არჩევნების უფრო მეტად პროპორციული წარმომადგენლობით ჩატარებას დასთანხმდა, ხოლო 2024 წლიდან ქვეყანა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემაზე გადავა.

საქართველოს დემოკრატიზაცია და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისადმი ძალისხმევა ურთიერთდაკავშირებულია – ერთი მეორეზე გავლენას ახდენს. საქართველოს მისწრაფება გახდეს დასავლური პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინსტიტუტების ნაწილი დემოკრატიზაციის გარეშე ვერ მიიღწევა, ხოლო საქართველოს ჩართულობა დასავლურ სტრუქტურებთან დემოკრატიის განვითარების ტემპს აძლიერებს. საქართველოს დემოკრატიზაცია არ არის მხოლოდ შიდა პოლიტიკური ვალდებულება, არამედ ძლიერად არის კავშირში საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მისწრაფებებთან და არჩევანთან. ამას თვალსაჩინოს ხდის 2019-2022 წლის საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც საგარეო პოლიტიკის ექვსი მიზნიდან ერთ-ერთად „ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაციასა და საზღვარგარეთ ქვეყნის პოზიტიური იმიჯის განტკიცებას“ ასახელებს.²²

დემოკრატიის კონსოლიდაციისაკენ საქართველოს გზა აჩვენებს, რომ დემოკრატიის მშენებლობა საქართველოს ეროვნული მცდელობაა. საგარეო პოლიტიკური არჩევანი, როგორც არის დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრირება, დემოკრატიზაციის ფართო ძალისხმევას არის დაქვემდებარებული. 2013 წელს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ მიღებული საპარლამენტო რეზოლუცია აღიშნავს, რომ „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპული და ევროატლანტიკური კურსი, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მდგრად დემოკრატიულ განვითარებასა და უსაფრთხოებას ემსახურება და არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ“.²³

²¹ The World Bank. (2012). Fighting corruption in public services: chronicling Georgia's reforms (English).

ხელმისაწვდომია: <http://documents.worldbank.org/curated/en/518301468256183463/Fighting-corruption-in-public-services-chronicling-Georgias-reforms>

²² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, 2019-2022. გვ. 7

²³ საქართველოს პარლამენტი. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, ხელმისაწვდომია: <http://parliament.ge/uploads/other/19/19442.pdf>

თუმცა, რამდენადაც საერთაშორისო სისტემა მრავალპოლუსიანი ხდება²⁴ და უფრო და უფრო იზრდება არადასავლური აქტორების როლი, თუ როგორ შეიცვლება საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები მომავლის საკითხად რჩება. არის საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილება საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე დამოკიდებული? ავტორიტარულ რეჟიმებთან ინტერაქციის ან მათზე მზარდი დამოკიდებულების ფონზე, როგორ შეძლებს საქართველო დააბალანსოს დემოკრატიისადმი ერთგულება? ეს კითხვები დამატებით განსჯას საჭიროებს. ამავდროულად, საქართველოსა და ჩინეთის – მზარდი გლობალური ძალა – ურთიერთობების ახლანდელი ხარისხის გაგება საფუძველს დაუდებს მომავლის შესახებ წარმოდგენას.

²⁴ Buzan, B. (2011). The Inaugural Kenneth N. Waltz Annual Lecture A World Order Without Superpowers: Decentred Globalism. *International Relations*, 25(1). pp.3-25

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები: მხარდი თუმცა შეზღუდული კარტონობა?

ჩინეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები 1992 წელს დაიწყო, როდესაც ორმა ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. ამის შემდეგ, ურთიერთობები მეგობრულად თუმცა ნაკლები ინტერაქციით ვითარდებოდა. საქართველოს ოფიციალური დოკუმენტების ანალიზისას ჩანს, რომ 2005 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია საერთოდ არ ახსენებს ჩინეთს. დოკუმენტის 2011 წლის ვერსია კი ჩინეთს მხოლოდ ერთხელ სხვა ქვეყნებთან ერთად ახსენებს და ხაზს უსვამს მათთან „პოლიტიკური დიალოგისა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების“ მნიშვნელობას.²⁵

ამის მიუხედავად, საქართველო-ჩინეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში განვითარება შეინიშნებოდა. მიმდინარეობდა ქვეყნებს შორის ტრადიციული სახელმწიფო-თაშორისო ურთიერთობები, როგორცაა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მნიშვნელობის ხაზგასმა, დიპლომატიური ურთიერთობების წლისთავის აღნიშვნა და ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი სიტყვიერი მხარდაჭერის გამოხატვა.²⁶ 2006 წელს, ჩინეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ჩინეთსა და საქართველო შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარების შესახებ ერთობლივ განცხადებას, რომელშიც მხარეებმა ერთმანეთს საერთო მნიშვნელობის საკითხებზე მხარდაჭერა გამოუცხადეს – კერძოდ, ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე²⁷ – და გამოთქვეს მზადყოფნა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავების შესახებ.²⁸ მაღალ დონეზე ურთიერთობები გაგრძელდა ასევე 2015 და 2019 წლებში.²⁹

თუმცა, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომზე ჩინეთის პოზიცია საქართველო-ჩინეთის სამომავლო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიასთან მიმართებით ჩინეთმა ფორმალურად დაბალანსებული პოზიცია დაიკავა (არ აღიარა აღნიშნული ტერი-

²⁵ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2005;2011

²⁶ MFA of the People's Republic of China. (2007). Assistant Foreign Minister Li Hui Attends Reception Hosted by Georgian Embassy in China to Mark Independence Day of Georgia and 15th Anniversary of China-Georgia Diplomatic Ties. ხელმისაწვდომია: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjb_663304/zjzg_663340/dozys_664276/gjlb_664280/3170_664312/3172_664316/t323963.shtml

²⁷ MFA of the People's Republic of China. (2006). Hu Jintao and Georgian President Sign Bilateral Joint Statement. ხელმისაწვდომია: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjdt_665385/2649_665393/t246689.shtml

²⁸ MFA of the People's Republic of China. (2006). Hu Jintao Holds Talks with Georgian President Saakashvili. ხელმისაწვდომია: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjb_663304/zjzg_663340/dozys_664276/gjlb_664280/3170_664312/3172_664316/t246338.shtml

²⁹ MFA of the People's Republic of China. Georgia. ხელმისაწვდომია: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjb_663304/zjzg_663340/dozys_664276/gjlb_664280/3170_664312/3172_664316/

ტორიების დამოუკიდებლობა და მხარეებს დიალოგის მეშვეობით კონფლიქტის გადაჭრისკენ მოუწოდა³⁰), თუმცა ეს ფარულად რუსეთის ქვეყის გამართლებას წარმოადგენდა.³¹

ჩინეთმა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაზე წინ დააყენა, ხოლო რუსეთს ამერიკის ჰეგემონიის წინააღმდეგ მოკავშირედ ხედავს. ჩინეთი თავს იკავებს პოზიცია დააფიქსიროს რეზოლუციაზე „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო ადგილნაცვალის პირებისა და ლტოლვილების მდგომარეობის შესახებ“.³² 2014 წელს ჩინეთმა ასევე თავი შეიკავა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაზე, რომელიც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერას გამოხატავდა.³³

ჩინეთის მხარდად ახლო პარტნიორობა რუსეთთან ართულებს ჩინეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობის წარმოდგენას. არც საქართველო და არც ჩინეთი პარტნიორობას არ ახასიათებენ როგორც სტრატეგიულს. საქართველო არ იკავებს მნიშვნელოვან პოზიციას ჩინეთის მყისიერ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებში³⁴, თუმცა ორივე ქვეყანა ხაზს უსვამს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერების მნიშვნელობას.³⁵

სწორედ ეკონომიკური სფერო წარმოადგენს საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ქვაკუთხედს. 2010 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში ჩინეთის როლი მზარდია³⁶ – განსაკუთრებით კი მას შემდეგ რაც ორმა ქვეყანამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი – რაც ჩინეთს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანად აქცევს.³⁷ გასული წლების მანძილზე, ჩინეთის მიერ საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ \$600 მილიონს მიაღწია³⁸, თუმცა 2019 წელს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნებს.³⁹

³⁰ Feng, Z. (2009). The Russia-Georgia military conflict: for China, does it mean scrambling between a “strategic partnership” and being a “responsible stakeholder”? Korean Journal of Defense Analysis. 20(4), pp. 305-318

³¹ იგივე

³² Refworld. org. (2010). UN General Assembly, Georgia. ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/publisher/UNGA,,GEO,,,0.html>

³³ UN. (2014). Territorial integrity of Ukraine: resolution / adopted by the General Assembly. ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.un.org/record/767565>

³⁴ MFA of the People’s Republic of China (2019). ხელმისაწვდომია: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjdt_665385/zyjh_665391/t1679454.shtml

³⁵ დამატებით იხილეთ აქ: <http://ge.china-embassy.org/eng/xwdt/t1469181.htm>; ასევე იხილეთ 2019-2022 წლის საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია

³⁶ Larsen, J. (2017). Georgia-China Relations: the Geopolitics of the Belt And Road. Georgian Institute of Politics. ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/georgia-china-relations-geopolitics-belt-road/>

³⁷ Civil.ge. (2020). Georgia’s Foreign Trade in January 2020. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/339427>

³⁸ Embassy of the People’s Republic of China in Georgia. (2017). Remarks by Amb. Ji Yanchi at the China-Georgia Friendship Day celebrating the 25th Anniversary of Diplomatic Relations between China and Georgia. ხელმისაწვდომია: <http://ge.china-embassy.org/eng/xwdt/t1469181.htm>

³⁹ National Statistics Office of Georgia. Foreign Direct Investments by country. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/191/foreign-direct-investments>

ჩინეთი საქართველოს სარტყლისა და გზის ინიციატივის ნაწილად ხედავს, რომელიც ევროპასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან ჩინეთის დაკავშირებადობის გაზრდას ისახავს მიზნად. საქართველო პირდაპირ მონაწილეობს სარტყლისა და გზის ინიციატივის აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის კომპონენტში და ჩინეთის ევროპასთან დასაკავშირებელი ექვსი დერეფნიდან ერთ-ერთს წარმოადგენს.⁴⁰

გასული ათწლეულების მანძილზე, საქართველოში ჩინეთის ეკონომიკური როლი გაიზარდა, რაც 30-მდე ჩინური საწარმოს მიერ საქართველოს სხვადასხვა სექტორში – მათ შორის ენერჯეტიკა, ფინანსები და ინფრასტრუქტურა – ინვესტიციაში გამოიხატა.⁴¹

საქართველომ და ჩინეთმა ასევე გაზარდეს ხალხთაშორისი და კულტურული კავშირები. ეს მოიცავს: კულტურულ კავშირებს; ქართველი სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო სტიპენდიებს; სკოლებსა და უნივერსიტეტებში ჩინური ენის კურსებს.⁴² გასული წლების მანძილზე ასევე გაიზარდა საქართველოში ჩინელი ტურისტების რაოდენობა.⁴³

საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა შემდეგი დაკვირვების საფუძველს იძლევა: 1) პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში, ჩინეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები მინიმალურია და დადის რუტინულ დიპლომატიურ ჩართულობამდე; 2) ეკონომიკა არის ძირითადი სფერო, სადაც ორივე მხარე თანამშრომლობს და მონადინებულნი არიან თანამშრომლობის უფრო განსავითარებლად; 3) ჩინეთსა და საქართველოს შორის ხალხთაშორისი და კულტურული კონტაქტები გაზრდილია, და 4) ჩინეთი რუსეთთან ურთიერთობებს საქართველოსთან ურთიერთობებზე მაღლა აყენებს – ეს გამოიხატება საქართველოს ძირითად საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებთან დაკავშირებით ჩინეთის თავშეკავებულ პოზიციასა ან/და სიჩუმეში. ეს ყოველივე მიაწინებს ორ ქვეყანას შორის მზარდ თუმცა ბუნებრივად შეზღუდულ პარტნიორობაზე.

⁴⁰ Khishtovani, G, et al. (2019). The Belt and Road Initiative in the South Caucasus Region. Emerging Markets Forum, pp.33-51, ხელმისაწვდომია: https://pmcresearch.org/policypapers_file/09675c8b70d3843da.pdf; Larsen, J. (2017). Georgia-China Relations: the Geopolitics of the Belt And Road. Georgian Institute of Politics.

ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/georgia-china-relations-geopolitics-belt-road/>

⁴¹ Embassy of the People's Republic of China in Georgia. (2017). Remarks by Amb. Ji Yanchi at the China-Georgia Friendship Day celebrating the 25th Anniversary of Diplomatic Relations between China and Georgia.

ხელმისაწვდომია: <http://ge.china-embassy.org/eng/xwdt/t1469181.htm>

⁴² იგივე

⁴³ იგივე

მზარდი საქართველო-ჩინეთის პარტნიორობის შემაჯობებელი ფაქტორები: დისკუსია

ჩინეთსა და საქართველოს შორის მზარდი ეკონომიკური თანამშრომლობის ფონზე, რამდენად რეალისტურია ვარაუდი, რომ ჩინეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება პოლიტიკურ დამოკიდებულებაში გადაიზრდება, ეს კი საფრთხის ქვეშე დააყენებს დემოკრატიისა და დასავლეთის მიმართ საქართველოს ერთგულებას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა მომავლის საქმეა, თუმცა ჩინეთზე საქართველოს ძირეულ პოლიტიკურ დამოკიდებულებას შემდეგი ფაქტორები ზღუდავს: 1) ჩინეთი საქართველოსთვის სანდო საგარეო პოლიტიკური პარტნიორი არ არის; 2) საქართველოს ისტორიული და ეროვნული ნარატივი დემოკრატიულ ევროპასთან/დასავლეთთან მიკუთვნებაა, და 3) საქართველოს თანამშრომლობა დასავლეთთან და მასზე დამოკიდებულება ძლიერია საიმისოდ, რომ შეწყდეს.

ჩინეთი – არასანდო საგარეო პოლიტიკური პარტნიორი

ძირითადი საკითხი რაც ჩინეთ-საქართველოს შორის ახლო ურთიერთობებს სტრუქტურულად ზღუდავს რუსეთის ფედერაციასთან ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობაა. ჩინეთსა და რუსეთს გააჩნიათ ახლო უსაფრთხოებითი, პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური თანამშრომლობა როგორც ორმხრივ ისევე მრავალმხრივ ფორმატებში. ამერიკის მეთაურობით შექმნილი დასავლური ლიბერალურ წესრიგისადმი წინააღმდეგობა მათი „ძირეული“ და ეროვნული ინტერესების შემადგენელი ნაწილია.⁴⁴ ამ მიზნით, ჩინეთი და რუსეთი სათავეში უდგანან გაერთიანებას „BRICS“, რომელიც აღმავალი ძალების პლატფორმას წარმოადგენს და მიზნად რეგიონულ დონეზე ძლიერებას, გლობალური როლის მოპოვებასა და ამერიკის ჰეგემონიისადმი წინააღმდეგობის განწევის ისახავს.⁴⁵

როგორც ჩინეთი ისე რუსეთი ერთმანეთს ძირითად სტრატეგიულ პარტნიორებად მიიჩნევენ. ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ ხედვა რუსეთს ღირებულ პარტნიორად გამოყოფს და აღნიშნავს, რომ „ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობები ისტორიაში საუკეთესო ნიშნულზეა, ხოლო ორმხრივი პოლიტიკური ნდობა და სტრატეგიული კოორდინაცია ახალ სიმაღლეს აღწევს“.⁴⁶ თავის მხრივ, რუსეთი მიზნად ისახავს „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ყოვლისმომცველი, თანასწორი, ნდობაზე დაფუძნებული პარტნიორობისა და სტრატეგიული

⁴⁴ Zhou, J. (2019). China's Core Interests and Dilemma in Foreign Policy Practice. Pacific Focus, 34(1), 31-54.

ასევე იხილეთ: https://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptlCk8B6BZ29/content/id/2542248

⁴⁵ MacFarlane, N. (2006). The "R" in BRICs: is Russia an emerging power? International Affairs, 82(1), 41-57.

⁴⁶ MFA of the People's Republic of China. (2019). China's Foreign Policy in a Fast Changing World: Mission and Responsibility; Speech by Vice Foreign Minister Le Yucheng At the Lunch Meeting of the Eighth World Peace Forum. ხელმისაწვდომია: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjdt_665385/zzyjh_665391/t1679454.shtml

თანამშრომლობის განვითარების გაგრძელებას და ყველა სფეროში თანამშრომლობის პროაქტიულად გაღრმავებას“.⁴⁷

მრავალ ფორმატსა და მრავალ სფეროში ჩინეთსა და რუსეთს შორის ახლო პარტნიორობა, ისევე როგორც დასავლეთის მეთაურობით არსებული საერთაშორისო წესრიგისადმი მათი წინააღმდეგობა, მსოფლიოზე ჩინეთის ხედვას წინააღმდეგობაში აქცევს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებთან განწევრიანდეს ნატოსა და ევროკავშირში; განავითაროს სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და შექმნას ევროპული, სამართლის უზენაესობაზე ორიენტირებული დემოკრატიული სახელმწიფო. ამით აიხსნება თუ რატომ არ უჭირავს ჩინეთს მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის უახლეს ვერსიაში, ჩინეთთან მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობები არის ხაზგასმული, როდესაც ამერიკასთან, ევროკავშირთან, ნატოსთან, გაერთიანებულ სამეფოსთან და გერმანიასთან პარტნიორობის მასშტაბი და ამბიციუ უფრო ყოვლისმომცველია.⁴⁸

შესაბამისად, საქართველოსა და ჩინეთს შორის პარტნიორობის მთავარი შემზღუდავი ფაქტორი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე – საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალი/სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან განწვევა- ჩინეთის (გამოუთქმელი) პოზიციაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი ხაზს უსვამს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ნორმების მნიშვნელობას და ყურადღებას ამახვილებს ყველა ერს – პატარა, დიდი, მდიდარი თუ ღარიბი – შორის თანასწორობაზე, ჩინეთის პოზიცია ან პოზიციის არქონა რუსეთის ქმედებების მიმღებლობის მაჩვენებელია.

განსხვავებით დასავლელი პარტნიორებისა, რომლებიც განგრძობადად გამოხატავენ მხარდაჭერას საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების მიმართ, ჩინეთი თავს იკავებს გაეროში ლტოლვილების შესახებ საქართველოს რეზოლუციაზე ხმის მიცემისგან; არ გამოხს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობას; არ გამოხს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთისგან მომავალ კიბერთავდასხმებს და შეშფოთებას არ გამოხატავს საქართველოში რუსეთის ბორდერიზაციის პოლიტიკის მიმართ.

„მაღალი პოლიტიკის“ საკითხები, როგორცაა უსაფრთხოება და სუვერენიტეტი, საქართველოს საგარეო პოლიტიკის საძირკველს წარმოადგენს. ჩინეთის მიერ პოზიციის გამოუთქმელობა და საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე რუსეთისადმი მიკერძოება ზრდის საქართველოს მიერ ჩინეთის არასანდრო საგარეო პოლიტიკურ პარტნიორად აღქმას.

⁴⁷ MFA of Russia. (2016). Foreign Policy Concept of the Russian Federation. ხელმისაწვდომია: https://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptlCk8B6BZ29/content/id/2542248

⁴⁸ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (n.d.). საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022. ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>

დემოკრატიზაცია და ევროკავშირთან მიკუთვნება საქართველოს იდენტობის ნაწილია

საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო დემოკრატიის კონსოლიდაციის თანდათანობით გზას გადიოდა. ბევრად უფრო ადრე, 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წლის მანძილზე, დემოკრატიზაცია და ევროპეიზაცია საქართველოს იდენტობის ძირითადი მსაზღვრელი იყო. სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ „საქართველო იყო ძლიერად ევროპული“ და რომ ევროპეანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური პრინციპი იყო.⁴⁹

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, დემოკრატიზაცია და ევროპეიზაცია კვლავ გახდა საქართველოს იდენტობის მსაზღვრელი. სახელმწიფოს მიერ მიღებული ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტები – როგორც არის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (2005; 2011); საპარლამენტო რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ (2013); საპარლამენტო რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ (2015); საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია (2015-2018; 2019-2022) – ხაზს უსვამენ საქართველოს ერთგულებას შექმნას დემოკრატიული სახელმწიფო. აღიშნული დოკუმენტები ასევე აჩვენებენ საქართველოს მისწრაფებას განვერიანდეს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში და წარმოაჩინოს საქართველო როგორც:

„ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილი, რომლის ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები ევროპულ ფასეულობებსა და ტრადიციებზეა დაფუძნებული, მისწრაფვის ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სისტემებში ინტეგრაციისაკენ“.⁵⁰

უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს ევროპულ და დემოკრატიულ მისწრაფებებს საზოგადოების წევრებიც იზიარებენ. სხვადასხვა საზოგადოებრივი გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მოქალაქეები თანმიმდევრულად უჭერენ მხარს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას და დემოკრატიის მმართველობის საუკეთესო ფორმად მიიჩნევენ.⁵¹ ევროსაბჭოსთან, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, ევროკავშირთან (ასოციაციის შეთანხმების მეშვეობით) და ამერიკის შეერთებულ შტატებთან (აშშ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის მეშვეობით) ინსტიტუციური კავშირის გზით, საქართველო სამართლებრივად ვალდებული და პოლიტიკურად მონადინებულია გადადგას ნაბიჯები, რომლებიც იცავს დემოკრატიას, სამართლის უზენაესობასა და ადამიან-

⁴⁹ Jones, F. S. (2014). *The Making of Modern Georgia, 1918-2012: The First Georgian republic and its successors*. Routledge: London and New York. pp. 48-49

⁵⁰ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ციტირებულია Kakachia, K and Minesashvili, S. (2015). Identity politics: Exploring Georgian foreign policy behavior. *Journal of Eurasian Studies*, 6, p.175

⁵¹ NDI. (2019). NDI Poll: EU and NATO Support at a Five-Year High in Georgia; Urgent Action on the Environment and Improvements in Public Education Needed. ხელმისაწვდომია: <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-eu-and-nato-support-five-year-high-georgia-urgent-action-environment-and>; CRRC Georgia. (2019). Attitudes Towards Democracy. Caucasus Barometer. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/cb2019ge/ATTDEM-withoutdkra/>

ნის უფლებებს – ღირებულებები, რომლებსაც ისეთი ავტორიტარული სახელმწიფოები როგორც არის ჩინეთი და რუსეთი უფრო და უფრო კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ.

აღნიშნული ვალდებულებები და მისწრაფებები – განუყოფელი თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის – ეწინააღმდეგება განვითარების ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ მოდელს. თანამედროვე ჩინეთი არის ავტორიტარული სახელმწიფო, რომელიც დემოკრატიული კონკურენციისა და ადამიანის უფლებების დაცვის საბაზისო პრინციპებს არ აფასებს. ჩინეთის გეოპოლიტიკური პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დასავლურ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს, და იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის პოლიტიკებს ფარულად მხარს უჭერს, სხვა თანაბარ პირობებში, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საქართველო და ჩინეთი შეძლებენ უფრო ღრმა სტრატეგიული ხასიათის მქონე პოლიტიკური პარტნიორობის განვითარებას.

კავშირები დასავლეთთან შეუწყვადია

გეოპოლიტიკური ფაქტორები ასევე ზღუდავს ჩინეთსა და საქართველოს შორის უფრო სიღრმისეულ ჩართულობას. გასული ათწლეულების მანძილზე საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირები დასავლურ სახელმწიფოებთან და ინსტიტუტებთან უფრო გაძლიერდა, რამაც საქართველოს დასავლეთთან დაახლოება გამოიწვია. წამყვანი დასავლური სახელმწიფოებისა და ინსტიტუტების სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკური პოლიტიკებში საქართველო მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, განსაკუთრებით დასავლური ლიბერალური წესრიგის წინააღმდეგ მზარდი რუსული და ჩინური გამოწვევების ფონზე.

სამხედრო თვალსაზრისით, დასავლეთსა და საქართველოს შორის კავშირები იზრდება. 1999 წლიდან, საქართველოს წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში კოსოვოში, ერაყში, ავღანეთში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში.⁵² 2002 წლიდან, საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები წარმართავენ ერთობლივ სამხედრო წვრთნებს, რომლებიც მიზნად საქართველოს უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის გაძლიერებას ისახავენ- ესენია საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (GTEP)⁵³; საქართველოს სტაბილურობის შენარჩუნების ოპერატიული პროგრამა (GSSOP)⁵⁴, და საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP).⁵⁵ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, ქვეყნებმა თავ-

⁵² საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (n.d). საერთაშორისო მისიები. ხელმისაწვდომია: <https://mod.gov.ge/ge/mission>

⁵³ U.S. Department of State. (2003). Georgia Train and Equip Program (GTEP). ხელმისაწვდომია: <https://2001-2009.state.gov/r/pa/ei/pix/b/eur/18737.htm>

⁵⁴ U.S. Department of Defense. (2005). Training for Iraq Boosts Security in Caucasus. ხელმისაწვდომია: <https://archive.defense.gov/news/newsarticle.aspx?id=16284>

⁵⁵ U.S. Embassy Georgia. (2018). U.S.-Georgia Defense Readiness Program Training Element Launch (May 18). ხელმისაწვდომია: <https://ge.usembassy.gov/u-s-georgia-defense-readiness-program-training-element-launch-may-18/>

დაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში პარტიორობის გაღრმავების მზადყოფნა გამოთქვეს.⁵⁶ ამავდროულად, საქართველო მასპინძლობს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრს და ამერიკისა და ნატოს წევრი ქვეყნების სამხედროებთან ერთად ერთობლივ სამხედრო წვრთნებს ატარებს.⁵⁷

ნატო საქართველოს ასევე მოიაზრებს საკუთარი შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგიის ნაწილად.⁵⁸

პოლიტიკურად, თანამშრომლობა დასავლეთთან კიდევ უფრო ძლიერია. 2014 წელს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რაც ახლო პოლიტიკურ და ეკონომიკური პარტნიორობაში ისევე როგორც კულტურულ კავშირებში გადაიზარდა. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები პირობითობის პრინციპს ეფუძნება, რის თანახმადაც საქართველომ უნდა გამოავლინოს დემორატიული ღირებულებებისადმი ერთგულება რათა ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრაციას მიაღწიოს. ზოგადი თანამშრომლობა დასავლეთის ქვეყნებთან და სტრუქტურებთან ასევე ეფუძნება დემოკრატიულ პირობითობას – რაც უფრო მაღალია საქართველოს ერთგულება დემოკრატიის მიმართ, მით უფრო ღრმა იქნება თანამშრომლობა დასავლეთთან.

ეკონომიკის მხრივ, 2014 წლიდან ნაწილობრივ ხოლო 2016 წლიდან სრულად, საქართველო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით სარგებლობს, ხოლო ასევე განიხილება ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების იდეა. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გლობალური ეკონომიკაზე, რამდენადაც საქართველო ეყრდნობა „ოფიციალური განვითარების დახმარებას, გზავნილებს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას, ტურიზმსა და სასაქონლო იმპორტს“.⁵⁹ საქართველო ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკვები პროდუქტების იმპორტზე და „დაუცველია გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობისა და დასავლეთის დედაქალაქებში საბიუჯეტო ხარჯების შემცირების მიმართ“.⁶⁰ მიუხედავად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებისა, ეკონომიკური სირთულეები გრძელდება და „ევროკავშირში ექსპორტის მცირე ზრდა“ შეინიშნება.⁶¹

⁵⁶ U.S. Embassy Georgia (2016). Memorandum on Deepening the Defense and Security Partnership Between the United States of America and Georgia (July 6). ხელმისაწვდომია: <https://ge.usembassy.gov/memorandum-deepening-defense-security-partnership-united-states-america-georgia-july-6/>

⁵⁷ NATO. (2019). Georgian Defence Forces Lead NATO-Georgia Exercise 2019. ხელმისაწვდომია: <http://www.act.nato.int/articles/georgian-defence-forces-lead-nato-georgia-exercise-2019>

⁵⁸ NATO. (2019). NATO Foreign Ministers agree to enhance security in the Black Sea region. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_165253.htm?selectedLocale=en

⁵⁹ Macfarlane, N. (2012). Georgia: National Security Concept versus National Security. Chatham House. ხელმისაწვდომია: <https://www.chathamhouse.org/publications/papers/view/185193>

⁶⁰ იგივე

⁶¹ Emerson, M and Kovziridze, T. (2018). Deepening EU-Georgia Relations: what, why and how?. CEPS, Rowman & Littlefield International Ltd, London

ნაწილობრივ ამ მიზნით, საქართველო ახდენს ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირებას მათ შორის ჩინეთთან და სხვა გლობალურ ეკონომიკებთან. მიიჩნევა, რომ ჩინეთთან თავისუფალმა ვაჭრობამ „საქართველო შეიძლება გახადოს ჩინეთის პირდაპირი ინვესტიციების ადგილი საიდანაც ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი განხორციელდება“.⁶²

დასავლეთთან სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები და მასზე დამოკიდებულება აჩვენებს თუ რატომ არის მოსალოდნელი, რომ საქართველო დარჩება ევრაზიის რეგიონთან მიმართებით დასავლური პოლიტიკური დაგეგმარების პრიორიტეტებში. ამას დამატებით აძლიერებს დასავლური საერთაშორისო წესრიგის მიმართ ჩინეთისა და რუსეთის წინააღმდეგობა. ანაკლიის ღრმანლოვანი პორტის მშენებლობა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მხარდი ინტერესების დადასტურებაა. მიუხედავად იმისა, რომ პორტის მშენებლობა ამჟამად შეჩერებულია უმეტესწილად საქართველოს შიდა პოლიტიკური ფაქტორების გამო, პორტის მშენებლობის მხარდასაჭერად ამერიკის სახელმწიფო მდივნის გამომხატვრება მიანიშნებს ამერიკის ინტერესზე დაუპირისპირდეს ჩინურ და რუსულ გავლენებს. პორტის მნიშვნელობაზე კომენტარებისას, სახელმწიფო მდივანმა პომპეომ აღნიშნა, რომ პორტის მშენებლობა „გააძლიერებს თავისუფალ ეკონომიკებთან საქართველოს ურთიერთობას და ხელს შეუშლის საქართველოს რუსული თუ ჩინური ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოქცევას. ამ მოჩვენებით მეგობრებს საქართველოს საუკეთესო ინტერესები არ ამოძრავებთ“.⁶³

გემოთხსენებული გათვალისწინებით, საჭიროების მიუხედავად, ჩინეთთან ეკონომიკური პარტნიორობის დამყარება სიფრთხილეს მოითხოვს. ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი რასაც როგორც ევროკავშირი ისე ამერიკის შეერთებული შტატები მუდმივად ხაზს უსვამენ შეეხება ჩინეთის მხრიდან სამართლიან ვაჭრობას.⁶⁴ ასევე არსებობს მოსაზრებები, რომ ჩინეთი იყენებს „სასესხო მახის“ დიპლომატიას, რაც ქვეყნებს ჩინეთის გავლენისგან დაუცველს ხდის.⁶⁵ სარტყლისა და გზის ინიციატივის მონაწილე ქვეყნების კვლევამ აჩვენა, რომ 23-მდე ქვეყანა შესაძლოა „მნიშვნელოვნად ან ძალიან დაუცველი იყვნენ სასესხო დისტრესის მიმართ“.⁶⁶ ასეთი მაგალითია მონტენეგო-

⁶² იგივე,გვ.5

⁶³ U.S. Embassy in Georgia. (2019). Statements to the Press With Georgian Prime Minister Mamuka Bakhtadze As Part of the U.S.-Georgia Strategic Partnership Commission (June 11). ხელმისაწვდომია: <https://ge.usembassy.gov/statements-to-the-press-with-georgian-prime-minister-mamuka-bakhtadze-as-part-of-the-u-s-georgia-strategic-partnership-commission-june-11/>

⁶⁴ European Commission. (2020). China.

ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/china/>
⁶⁵ Chellaney, B. (2018). China's Debt Trap Diplomacy. Project Syndicate. ხელმისაწვდომია: <https://www.project-syndicate.org/commentary/china-one-belt-one-road-loans-debt-by-brahma-chellaney-2017-01?barrier=accesspaylog>

⁶⁶ Hurley, J, Morris, S and Portelance, G. (2018). "Examining the Debt Implications of the Belt and Road Initiative from a Policy Perspective." CGD Policy Paper. Washington, DC: Center for Global Development.

ხელმისაწვდომია: <https://www.cgdev.org/publication/examining-debt-implications-belt-and-road-initiative-policy-perspective>

რო, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, რომელიც ჩინეთის Exim Bank-ისგან მიღებულ სესხზე დამოკიდებული გახდა. სესხი სერბეთთან მონტენეგროს დასაკავშირებლად წამყვანი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც ქვეყანას ბალკანეთს სატრანსპორტო სისტემის ნაწილს გახდის.⁶⁷

გარდა ამისა, ევროკავშირთან არსებული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები დემოკრატიულ პირობითობას ექვემდებარება, ხოლო ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობის გამჭვირვალე წესები მოქმედებს. ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები მოიცავს სხვადასხვა სფეროებს – მათ შორის გენდერული თანასწორობა, შრომითი უფლებები და გარემოს დაცვა – და ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მხრიდან დემოკრატიულ კონტროლს. გარდა ეკონომიკური სარგებლისა, აღნიშნული საქართველოს კარგი მმართველობისა და დემოკრატიის გაძლიერებაში ეხმარება. ეს ყოველივე განსხვავდება ჩინეთის „პოლიტიკური პირობებისგან დაკლილი“⁶⁸ საგარეო ვაჭრობის პოლიტიკისგან, რომელიც შეიძლება ეკონომიკურად მიმზიდველი იყოს, თუმცა საფუძველი დაუდოს დემოკრატიულ უკუსვლას და წაახალისოს ცუდი მმართველობა. ჩინეთთან ახლო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისას, „მნიშვნელოვანია ჩინეთის შესაძლო სამომავლო გეოპოლიტიკური ვექტორების მხედველობაში მიღება“, ისევე როგორც „რუსეთ-ჩინეთის, ჩინეთ-ამერიკისა და ევროკავშირი-ჩინეთის ურთიერთობების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ასპექტების“ გათვალისწინება.⁶⁹

მეორეს მხრივ, საქართველოსთან მიმართებით ჩინეთის პრიორიტეტები ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველო-ჩინეთის სამომავლო ურთიერთობების შეფასებისას. დღესდღეობით, ჩინეთის საგარეო პოლიტიკა საქართველოს მიმართ ყურადღებას ახლო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე ამახვილებს და ბუნებრივად ხედავს საქართველოს როგორც მიზნის (გაზრდილი დაკავშირებადობა ევროპასთან) მიღწევის საშუალებას ვიდრე თავისთავად მიზანს. რეგიონში ჩინეთის გეოპოლიტიკური ყოფნა ასევე შებლუდულია სამხრეთ კავკასიისა და ფართო რეგიონში დასავლეთისა და რუსეთის უფრო სიღრმისეული ჩართულობით. იმას თუ რამდენად გაიზრდება რეგიონში ჩინეთის ინტერესი მომავალი აჩვენებს, თუმცა ნათელია, რომ წამყვანი ძალები შეეცდებიან ჩინეთის სამომავლო ჩართულობის დაბალანსებას.

⁶⁷ იგივე, გვ. 17-18

⁶⁸ Li, X. (2017). Does Conditionality Still Work? China's Development Assistance and Democracy in Africa. *Chinese Political Science Review*, 2, pp.201-220

⁶⁹ Charaia, V and Papava, V. (2017). Belt and Road Initiative: Implications for Georgia and China-Georgia Economic Relations. *China International Studies*, 67, pp.122

რამდენადაც საერთაშორისო პოლიტიკა იცვლება და დასავლეთსა და არადასავლეთს შორის სტრატეგიული კონკურენცია იზრდება, ჩინეთი ყველაზე შედეგიან ექტორია, რომელსაც დასავლური სახელმწიფოებისა და ინსტიტუტების გამოწვევა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მათთან გავლენის მოსაპოვებლად კონკურენცია შეუძლია.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტმა დასავლეთთან საქართველოს ახლო პარტნიორობისა და რუსეთისგან მომავალი გამოწვევების ფონზე საქართველოში ჩინეთის მზარდი ეკონომიკური როლი განიხილა. პოლიტიკის დოკუმენტმა მიმოიხილა ევროკავშირისა და ჩინეთის თანამშრომლობის მახასიათებლები ისევე როგორც საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ისტორია, რამაც შესაძლებელი გახადა იმ ფაქტორების განხილვა, რომლებიც ჩინეთსა და საქართველოს შორის სიღრმისეულ პარტნიორობას ზღუდავენ.

გასული წლების მანძილზე, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებმა ახალი დინამიკა შეიძინა, თუმცა ურთიერთობები უმეტესად ეკონომიკურ სფეროდან არის დაყვანილი. საქართველოს ეკონომიკაში ჩინეთის მზარდი როლის მიუხედავად, პარტნიორობის სხვა სფეროებში გაფართოებას ან ჩინეთზე საქართველოს პოლიტიკურ დამოკიდებულებას შემდეგი ფაქტორები ზღუდავს: 1) საქართველოსთვის მნიშვნელოვან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე ჩინეთის სიჩუმე და რუსეთთან ჩინეთის ახლო სტრატეგიული პარტნიორობა; 2) საქართველოს ევროპული იდენტობა და დემოკრატიზაციის ძალისხმევა ჩინეთის განვითარების მოდელის სპირისპიროა, და 3) საქართველოს ახლო ურთიერთობები დასავლეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკურ ინსტიტუტებთან.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ჩინეთის თავშეკავება არ გააფართოვოს საქართველოსთან პარტნიორობა. ჩინეთი საქართველოს მეტწილად ხედავს როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას- საქართველო როგორც ევროპასთან დამაკავშირებელი მარშრუტი. ჩინეთის მიერ საქართველოსთან ჩართულობის ნებისმიერი გეოპოლიტიკიზაცია სავარაუდოდ გამოიწვევს სხვა წამყვან ძალებთან უთანხმოებას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოსა და ჩინეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას უმეტესად ჩინეთის მიერ არჩეული ხედვები და პოლიტიკები ზღუდავს.



Research